

გენგეგმა მ. 1:1000

ექსპლიკაცია

1. ძირითადი შენობა
2. საპროექტო ნაწილი
3. ეზო

მითითებანი

1. დაცულ იქნას უსაფრთხოების ღონისძიებები;
2. აკრძალულ იქნას უცხო პირების მოხვედრა სამშენებლო მოედანზე;
3. გამოყენებულ იქნას არსებული ინფრასტრუქტურა;
4. გათვალისწინებულ იქნას კონსტრუქტორის მითითებანი;
5. აღნიშნულ სამუშაოებზე განხორციელდეს ხარისხის კონტროლი;
6. მასალების მიღება მოხდება ეზოს მხრიდან ეტაპობრივად მშენებლობის პერიოდების გათვალისწინებით;
7. სამშენებლო ნაგავი ეტაპობრივად გატანილ იქნას მოედნიდან;

განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია შემოკლებულ ვარიანტში.

2. სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ. თბილისი, პეკინის გამზირი №2, არსებული შენობა. ნაკვეთის სკ-01.10.17.034.001.01.542. პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნულ შენობაზე, III სადარბაზო, მოქ. მ. როხვაძის საკუთრებაში არსებულ სხვენში, მანსარდის მოწყობა /ღერძებში "16-20"/. არსებული შენობა აშენებულია გასული საუკუნის 50-იან წლებში. ხუთ სართულიან შენობას გამსახურდიას გამზირის გასწვრივ თავსა და ბოლოში ესაზღვრება 8 სართულიანი და 5 სართულიანი შენობები, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია სადეფორმაციო ნაკერებით. შენობა გეგმაში რკალური მოხაზულობისაა, ზომებით გეგმაში (14.80X106.60)მ.
რსებული შენობის სართულიანობა - ხუთ სართულიანი, სარდაფით და განიავებადი სხვენით. სართულების სიმაღლე 4.0მ-ია. შენობის მზიდი კედლები - აგურის წყობა ცემენტ-ქვიშის დუღაბზე. შენობის ფასადის მხრიდან I სართულის ღია სივრცის ნაწილის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონ. რკ/ბეტონის თაღოვანი კოლონადის რიგი. საძირკვლები – მზიდი კედლების ქვეშ ლენტური; მონ. რკ/ბეტონის სვეტების (ჩანართების) ქვეშ წერტილოვანი. სართულშუა გადახურვები მონოლითური რკ/ბეტონისაა.

3. მანსარდის კონსტრუქცია - მსუბუქი კონსტრუქცია, ხის და ლითონის ელემენტებით, კერძოდ:
- იატაკები მოეწყობა ხის კონსტრუქციებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ეყრდნობა მზიდი კედლების გასწვრივ არსებული და დამატებით მოწყობილ რკ.ბ-ის სარტყლებს;
- გარე შემომფარგვლელი კედლები ფასადების მხრიდან ნაწილობრივ შემინულია, ხოლო ზოგიერთ ადგილას კედლები შეივსება გაზობეტონის წვრილი საკედლე ბლოკებით;
- ტიხრები მოეწყობა თაბაშირმუყაოს ფურცლებისაგან;
- სახურავის მზიდი კონსტრუქცია - ხისა და ლითონის კონსტრუქციები, რომელიც ლითონის საყრდენი დგარებით ეყრდნობა აგურის არსებული მზიდი კედლების გასწვრივ მოწყობილ რკ.ბ-ის სარტყლებს;
- სახურავი - ლითონის კოჭებზე მოეწყობა ხის კოჭები და მოეწყობა შეფიცვრა, დაიხურება თუნუქის ფურცლებით;
- ძირითადი სამუშაოების დასრულების შემდგომი პერიოდი დაეთმობა დარჩენილ სამუშაოებს: ტიხრების, კარ-ფანჯრების მოწყობას, საინჟინრო ქსელების, მოპირკეთების და სამღებრო სამუშაოებს.
- ბოლოს მოხდება აღნიშნული ფართის დასუფთავება. სამშენებლო ნაგავი ეტაპობრივად გატანილ იქნება აღნიშნული ფართიდან;

4. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება საამშენებლო ნორმების და წესების –СНиП-1.04.03-85 მიხედვით. სამშენებლო ფრონტი შეზღუდულია და აღნიშნული სამუშაოების გათვალისწინებით მშენებლობის ხანგრძლივობად მიღებულია დმატებით 10 თვე.

5. გამოყენებულ იქნება არსებული ინფრასტრუქტურა. I სართულზე ფასადზე განთავსდება შესაბამისი ბანერი სამშენებლო სამუშაოების წარმოების და უსაფრთხოების წესების შესახებ. პირველ ეტაპზე მოხდება არსებული სხვენის ფართის დასუფთავება და მომზადება სამუშაოებისათვის. შემდეგ ეტაპზე მოხდება არსებული სახურავის რესტავრაცია. ლითონის დგარებისთვის მოეწყობა ანკერები, შემდეგ მოეწყობა ლითონის კონსტრუქცია და დასრულდება სახურავის რესტავრაციის სამუშაოები. ძირითადი სამუშაოების სრულდება მუშის ძალით და მცირე მექანიზმების დახმარებით. ძირითადი სამუშაოების დასრულების შემდგომი პერიოდი დაეთმობა დარჩენილ სამუშაოებს: ტიხრების, კარ-ფანჯრების მოწყობას, საინჟინრო ქსელების, მოპირკეთების და სამღებრო სამუშაოებს. ასალების მიწოდება მოხდება სამშენებლო საწევრელას (ჯალამბარის) მეშვეობით, რომელიც მოეწყობა "15-17" ღერძებში, სადარბაზოს ნაწილში. მასალების მიწოდებისას დაცული იქნება უსაფრთხოების ღონისძიებები. სამშენებლო მასალების მიწოდება მოხდება ეზოს მხრიდან ეტაპობრივად მშენებლობის პერიოდების გათვალისწინებით.

6. სამშნებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი ენერგიითა და წყლით მოხდება არსებული ქსელებიდან. სამშენებლო ნაგავი გატანილ იქნება მოედნიდან.

7. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურების საკითხებზე მთავარ წყაროდ წარმოდგენილია საამშენებლო ნორმებისა და წესების СНиП-III-4-80* <<უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში>>.

სამუშაოს დასახელება	განზ	მუშახელობის ხანგრძლივობა	I თვე				II თვე				III თვე				IV თვე				V თვე				VI თვე				VII თვე				VIII თვე				IX თვე				X თვე			
			1 კვ.	2 კვ.	3 კვ.	4 კვ.	1 კვ.	2 კვ.	3 კვ.	4 კვ.	1 კვ.	2 კვ.	3 კვ.	4 კვ.	1 კვ.	2 კვ.	3 კვ.	4 კვ.	1 კვ.	2 კვ.	3 კვ.	4 კვ.	1 კვ.	2 კვ.	3 კვ.	4 კვ.	1 კვ.	2 კვ.	3 კვ.	4 კვ.	1 კვ.	2 კვ.	3 კვ.	4 კვ.	1 კვ.	2 კვ.	3 კვ.	4 კვ.	1 კვ.	2 კვ.	3 კვ.	4 კვ.
არსებული სახურავის რესტავრაცია	დღე	----									დასრულებული სამუშაოები																															
მანსარდის სართულის ლითონის კარკასის მოწყობა	დღე	----																																								
შიდა ტიხრების მოწყობა	დღე	60																																								
საინჟინრო ქსელების მოწყობა	დღე	35																																								
კარ-ფანჯრების მონტაჟი	დღე	35																																								
მოპირკეთების სამუშაოები	დღე	65																																								
სამღებრო სამუშაოები	დღე	65																																								
სამუშაოების დასრულება	დღე	20																																								

დასრულებული სამუშაოები

მშენებლობის დღიური გრაფიკი

შენიშვნა:

მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრა დამატებით 10 თვე

მანსარდის მოწყობის პროექტი	პროექტის ავტორი: თამაზ აბაშიძე	დამკვეთი: მაია როხვაძე	თარიღი: 18/11/2026	ფორმატი: a3
მშენებლობის ორგანიზების პროექტი	შეასრულა: თამაზ აბაშიძე			